წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი №16

ქ. თბილისი *10.11.2008 წ.*

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ახალი წევრებისათვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
2. თსუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
3. თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამერიკის აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.
5. ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.
6. ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცება.
7. კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პროფესორისა და სტუდენტისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

სპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ გარდა ამისა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა მარიამ ჩეკურიშვილმა დაიკავა უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის თანამდებობა, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუთავსებელია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობასთან, ხოლო მარიამ მენთეშაშვილმა დაამთავრა ის ფაკულტეტი, რომლიდანაც არჩეული იყო წარმომადგენლობით საბჭოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის სტუდენტია. მარიამ მენთეშაშვილის შესაძლო ადგილმონაცვლეს ბაჩანა ლომსაძეს კი

რექტორის 24.06.2008 წლის №785/01-04 ბრძანებით შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭისყრაზე დაისვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების: ზურაბ ძლიერიშვილის, დავით პატარაიას, რევაზ გოგშელიძის, თათია მჟავანაძის, მერი მემარნიშვილის, მარიამ მენთეშაშვილის, მარიამ ჩეკურიშვილის, ცოტნე ზურაბიანისა და ირაკლი აბესაძის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მათ ნაცვლად გია ჟორჟოლიანის, თამარ შოთაძის, უჩა ძიმისტარაშვილისა და ანა ბოჭორიშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 19 წევრით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

ა) შეუწყდეთ უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგ წევრებს: ზურაბ ძლიერიშვილს, დავით პატარაიას, რევაზ გოგშელიძეს, თათია მჟავანაძეს, მერი მემარნიშვილს, მარიამ მენთეშაშვილს, ცოტნე ზურაბიანს, ირაკლი აბესაძეს, მარიამ ჩეკურიშვილს;

ბ) ცნობილი იქნეს გია ჟორჟოლიანის, თამარ შოთაძის, ანა ბოჭორიშვილისა და უჩა ძიმისტარაშვილის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ წარმოიშვა წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" X თავის 73-ე მუხლის

მე-2 პუნქტი არეგულირებს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს, კერძოდ, 1. უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს.
2. უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოების წინაშე წარმოდგენილია წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტი შემდეგი სახით:

1. შევიდეს ცვლილება და დამატება წესდების 27-ე მუხლის მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 5. „ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგელობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები“.

2. შევიდეს ცვლილება და დამატება წესდების 39-ე მუხლის 1-ელ პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. „ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე“.

3. წესდების 39-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი სახით: 3. „ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო”.

4. შევიდეს ცვლილება წესდების 51-ე მუხლის 1-ელ პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. “უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანი და მათი მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის პირობებში), უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები”.

აზრი გამოთქვეს: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა – ცირა ბარამიძემ, გიორგი გოგსაძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა. აკადემიური საბჭოს წევრებმა – ალექსანდრე შენგელაიამ, გუგული მაღრაძემ.

გამომსვლელებმა დროულად მიიჩნიეს და მოიწონეს წესდებაში ცვლილებებისა და და დამატებების წარმოდგენილი პროექტი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 22 წევრით;
აკადემიური საბჭო – 7 წევრით;

აღნიშნულ საკითხე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები წესდებაში წარმოდგენილი სახით და იგი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს.

3. თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინა ადმინისტრციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა მინდელმა. აღინიშნა, რომ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში, კერძოდ:
ა. საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფა;
ბ. სასწავლო დეპარტამენტში საგამოცდო ცენტრის დამატება;
გ. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმება და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების განყოფილების სახით მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის შემადგენლობაში გაერთიანება;

დ. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის შემადგენლობაში პრეს-სამსახურის გაერთიანება.

გაიმართა მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე. მოსაზრება გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა თამარ შოთაძემ.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამერიკის აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხის განხილვას ესწრება აკადემიური საბჭო, შესაბამისად,

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 22 წევრით;
აკადემიური საბჭო – 7 წევრით;

წარმოდგენილ დებულებასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, გამოითქვა გარკვეული სახის შენიშვნები, კერძოდ, დებულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეებისა და სხვა პერსონალისაგან. 2. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები და

მათი დანიშვნა-გათავისუფლების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით.
ამოღებული იქნას 7.2 პუნქტის პირველი წინადადება "უნივერსიტეტის ბიუჯეტი".

აღნიშნულ საკითხე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამერიკის აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

5. წამომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხის განხილვას ესწრება აკადემიური საბჭო, შესაბამისად,

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 22 წევრით;
აკადემიური საბჭო – 7 წევრით;

წარმოდგენილ დებულებასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, გამოითქვა გარკვეული სახის შენიშვნა, კერძოდ, მე-4 მუხლში ნაცვლად "აკადემიური საბჭო"-სი მიეთითოს "სამეცნიერო საბჭო".

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება გამოთქმული შენიშვნით.

6. წამომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხის განხილვას ესწრება აკადემიური საბჭო, შესაბამისად,

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 22 წევრით;
აკადემიური საბჭო – 7 წევრით;

წარმოდგენილ დებულებასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, გამოითქვა გარკვეული სახის შენიშვნები, კერძოდ, ცენტრის დირექტორი არჩეული იქნას 4 წლის ვადით ნაცვლად 5 წლისა. ასევე ზოგადად დამოუკიდებელი ცენტრის შექმნის მიზანშეწონილობაზე, მაშინ როდესაც არსებობს კავკასიოლოგიის ინსტიტუტი ისაუბრეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ცირა ბარამიძემ და რამაზ ქურდაძემ. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ნინო ლომოურმა აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი არის წინგადადგმული ნაბიჯი უნივერსიტეტისათვის და მისი პრობლემატიკის დაყვანა ტექნიკურ საკითხებამდე არ არის მიზანშეწონილი.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება გამოთქმული შენიშვნით.

7. წამომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულება. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკითხის განხილვას ესწრება აკადემიური საბჭო, შესაბამისად,

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 22 წევრით;
აკადემიური საბჭო – 7 წევრით;

წარმოდგენილ დებულებასთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. გამოითქვა გარკვეული სახის შენიშვნა, კერძოდ, ინსტიტუტის დირექტორი არჩეული იქნას 4 წლის ვადით ნაცვლად 5 წლისა.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 22;
წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულება გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი		კახაბერ ლორია
სხდომის მდივანი		სოფიო ქვარცხავა

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №16, 10.11.2008 წ.);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

კანცელარია
Chancellery

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტატუსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში თსუ) ევროპული კვლევების ინსტიტუტის (შემდგომში ინსტიტუტი) არის საუნივერსიტეტო ფაკულტეტთაშორისი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული.

მუხლი 2. მიზანი

ა) ინსტიტუტის მიზანია ევროპული კავშირის შესახებ და მის მომცველ ფართო საერთაშორისო კონტექსტში სწავლებისა და კვლევების კოორდინირებულად წარმართვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე;

ბ) უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული ინტეგრაციისა და ევროპულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან თავსებადი განათლების სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა;

გ) საქართველოში ევროპული ინსტიტუტების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ ცოდნის გავრცელება;

დ) სასწავლო პროგრამების: სამაგისტრო და სადოქტორო, დისტანციური სწავლების განხორციელება; ასევე, სიცოცხლის მანძილზე განათლების ამოქმედება;

ე) ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამეცნიერო კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობაში;

ვ) სასწავლო პროცესში კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება;

ზ) ინტერდისციპლინარული კვლევის განვითარება;

თ) ევროპული საკითხებით დაინტერესებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის მაქსიმალური ხელშეწყობა;

ი) სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებთან;

კ)საკონსულტაციო საქმიანობა.

მუხლი 3. მართვის ორგანოები

ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: სამეცნიერო საბჭო, მმართველთა საბჭო და დირექტორი.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭო

1) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის ევროპამცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილე თსუ-ს აკადემიური პერსონალი. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობიდან არჩეული ერთი სტუდენტი;
2) სამეცნიერო საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა.
3) სამეცნიერო საბჭო:
   ა) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
   ბ) გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მმართველთა საბჭოს კომპეტენციას.
4) სამეცნიერო საბჭო იკრიბება ყოველი სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დირექტორის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით;
5) სამეცნიერო საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე;
6) სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს წევრთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი განისაზღვრება სამეცნიერო საბჭოს მოწვევის ინიციატორ წევრთა მიერ;
7) სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე;
8) სამეცნიერო საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;
9) სამეცნიერო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. მმარველთა საბჭო

1) ინსტიტუტის საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მისი სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს მმართველთა საბჭო;
2) მმართველთა საბჭოს წევრები არიან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ჰუმანიტარულ მეცნიერების ფაკულტეტების დეკანები, ევროკომისიის დელეგაციის, ბათუმისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრისა და განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს თითო წარმომადგენელი;
3) მმართველთა საბჭო:
   ა) ირჩევს დირექტორს;

ბ) ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების სამუშაო გეგმას;
გ) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს საავალდებულო ხასიათის რეკომენდაციებს;
დ) ამტკიცებს ინსტიტუტის ბიუჯეტს;

4) მმართველთა საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მის მიერ უფლებამოსილი პირი;
5) მმართველთა საბჭო იმართება საჭიროებისამებრ, სულ მცირე წელიწადში ორჯერ. მმართველთა საბჭო მოიწვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის (მისი არყოფნის შემთხვევაში მის მიერ უფლებამოსილი პირის) მიერ და/ან მმართველთა საბჭოს არანაკლებ 3 წევრის მოთხოვნით.
6) მმართველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე საბჭოს წევრთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავენ მმართველთა საბჭოს წევრები, რომელთა ინიციატივითაც იმართება რიგგარეშე სხდომა. მმართველთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საბჭოს წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე.
7) მმართველთა საბჭოს თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. გადაწყვეტილების მისაღებად საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება მისი სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 6. დირექტორი

1) ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2) დირექტორს ირჩევს მმართველთა საბჭო ორი წლის ვადით, ხმების უმრავლესობით;
3) დირექტორი:
ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული გეგმის მიზნების მისაღწევად;
ბ) ადგენს ინსტიტუტის გრძელვადიანი სტრატეგიული განთვარების გეგმას და წარუყდეგნს მმართველთა საბჭოს დასამტკიცებლად;
გ) ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვასა და განხორციელებას;
დ) ადგენს ინსტიტუტის ბიუჯეტს და დასამატკიცებლად წარუდგენს მმართველთა საბჭოსა და თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
ე) წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშს მმართველთა საბჭოსა და სამეცნიერო საბჭოს ექვს თვეში ერთხელ;
ვ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 7. ინსტიტუტის წევრობა

1) ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს კონკურსის საფუძველზე შერჩეული ევროპამცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილე თსუ-ს აკადემიური პერსონალი;
2) ინსტიტუტის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას დებულება და დაემორჩილოს სამეცნიერო საბჭოსა და მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ბ) დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მის დონისძიებებში;

გ)გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მის მუშაობას, ერთიანობას, მიზნების განხორციელებას.

3) ინსტიტუტის წევრს უფლებასმოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, სამეცნიერო საბჭოს ან მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 8. დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: სწავლის საფასური (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები), სასწავლო კურსები საჯარო მოხელეებისა და კერძო პირებისათვის, საკონსულტაციო პრაქტიკა, გრანტები, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

მუხლი 9. ცვლილებები და დამატებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 10. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №16, 10.11.2008 წ.);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია

კანცელარია
Chancellery

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულება

პრეამბულა

მუხლი 1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში თსუ) კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში ინსტიტუტი) არის საუნივერსიტეტო ფაკულტეტთაშორისი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რამდენადაც თავისი სპეციფიკით ინსტიტუტი არაა დაკავშირებული თსუ-ს რომელიმე კონკრეტულ ფაკულტეტთან.

ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო მუშაობა მოითხოვს თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტებს შორის კოორდინაციას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივ მუშაობას.

ინსტიტუტი უწევს მომსახურეობას თსუ-ს ადმინისტრაციას და ფაკულტეტებს ინტერპერსონალური და ორგანიზაციული კონფლიქტების დარეგულირებისათვის კონსულტაციების, ტრეინინგების ჩატარებისა და მედიაციის კლინიკის მეშვეობით.

მუხლი 2. საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1.ინსტიტუტის მიზანია სხვადასხვა სფეროში არსებული კონფლიქტების კვლევა და ანალიზი მათი დარეგულირების, გადაჭრის და პრევენციისათვის, კონფლიქტების კვლევის სპეციალისტების მომზადება, საზოგადოების ფართო ფენების განათლების და ტრენინგების გზით კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების დანერგვა.

2.ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი კომპონენტებია: კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად სასწავლო პროგრამების განხორციელება, კვლევები და პუბლიკაციები, კლინიკური და საკონსულტაციო პროგრამები, საექსპერტო

მომსახურეობა დაინტერესებული სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამები მოსახლეობისთვის.

3. ინსტიტუტში მუშაობს მედიაციის კლინიკა, რომელიც გარდა სასწავლო მიზნებისა, უწევს შესაბამის მომსახურეობას როგორც თსუ-ს, ისე სხვა ორგანიზაციებს და დაინტერესებულ პირებს.

4. ინსტიტუტი ანხორციელებს პროფესორთა და სტუდენტთა გაცვლის პროგრამებს უცხოეთის შესაბამისი პროფილის სასწავლო დაწესებულებებს და კვლევით ცენტრებთან.

5.ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციურ მეთოდების დანერგვას სამეცნიერო კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობაში, მუშაობს დისტანციური სწავლების და სიცოცხლის მანძილზე განათლების პროგრამების დანერგვაზე.

6. ინსტიტუტი ჩართულია საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე კვლევით და საექსპერტო თანამშრომლობაში. ინსტიტუტი ინტენსიურად თანამშრომლობს ქვეყნის ხელისუფლებასთან ინსტიტუტის პროფილისადმი რელევანტური საკითხების კვლევების განხორციელებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

მუხლი 3. მართვის ორგანოები

ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის საბჭო და დირექტორი.

მუხლი 4. ინსტიტუტის საბჭო

1. ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობაში შედის: კონფლიქტოლოგიის სასწავლო პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალი, მათ შორის ემერიტუსი პროფესორები, უნივერსიტეტში შემავალი ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების თითო წარმომადგენელი.

2. ინსტიტუტის საბჭო:
   ა) ირჩევს დირექტორს
   ბ) განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

გ) გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მხოლოდ დირექტორის კომპეტენციას.

3. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეკრების მოწვევა შეიძლება დირექტორის ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის ინიციატივით.
4. საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი, მისი არყოფნის დროს მოადგილე.
5. საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება მოწვევის ინიციატორთა მიერ.
6. საბჭოს დღის წესრიგი ეგზავნებათ წევრებს სხდომამდე ერთი კვირით ადრე.
7. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

8. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. დირექტორი

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.
2. დირექტორს ირჩევს ინსტიტუტის საბჭო 4 წლის ვადით საბჭოს წევრებიდან, ხმების უმრავლესობით.
3. დირექტორი:

ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ბ) ადგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად.

გ) ხელმძღვანელობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო პროგრამების ორგანიზირებულად წარმართვას და განხორციელებას.

დ) ადგენს ინსტიტუტის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს და თსუ-ს ადმინისტრაციას.

ე) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ვ) წარუდგენს ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშს საბჭოს და თსუ-ს რექტორს წელიწადში ერთხელ.

4. დირექტორთან მუშაობს დირექტორის ოფისი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 6. ინსტიტუტის წევრობა

1. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს თსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, აგრეთვე მოწვეული ემერიტუს პროფესორი.

2. ინსტიტუტის წევრი მოვალეა:
ა) განახორციელოს საბჭოს და დირექტორის გადაწყვეტილებები.

ბ)აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობაში.

3. ინსტიტუტის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ან საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 7. დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: სხვადასხვა სასწავლო პროგრამების და ტრეინინგებისგან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების და დაინტერესებული პირებისთვის საკონსულტაციო პრაქტიკისა და მედიაციის სამსახურიდან შემოსული სახსრები, გრანტები, სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო დონორი ორგანიზაციებიდან დახმარება.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

დებულებაში ცვლილებები და დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 9. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №16, 10.11.2008 წ.);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

კანცელარია
Chancellery

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და *აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის*

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი-1. ზოგადი დებულებები

1.1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *(შემდგომში უნივერსიტეტი)* და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი *(შემდგომში ინსტიტუტი)* არის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ერთეული. ინსტიტუტის დაარსებას საფუძვლად დაედო თბილისის და აიდაჰოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

1.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.

1.3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი; საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტს შეიძლება გაეხსნას საბანკო ქვეანგარიში.

მუხლი- 2. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის საგანი

2.1. ინსტიტუტის მიზანი:

- გააფართოოს და გააღრმავოს თბილისის და აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის სასწავლო და სამეცნიერო კავშირები;
- განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოები, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით;
- აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფებთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება და რეალიზაცია

ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, მედიცინის, არქეოლოგიის და მეცნიერების სხვა მიმართულებებით;

- უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტთა *(ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების)* საკურსო და სადიპლომო ნაშრომების მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებას, მათ ჩართვას სამეცნიერო გრანტებში და მონაწილეობას როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერ–თანამშრომელთა, ასევე საერთაშორისო დონის სამეცნიერო კონფერენციებში;
- უნივერსიტეტის ფარგლებში აამაღლოს, ერთის მხრივ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვის დონე და მეორეს მხრივ, მოტივაცია – გააგრძელონ სწავლა უნივერსიტეტის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, აირჩიონ მათთვის საინტერესო სამეცნიერო მიმართულება.

2.2. ინსტიტუტი უფლებამოსილია განსაზღვროს საინსტიტუტო სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის პერსპექტიული პროგრამა და პრიორიტეტები; ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები; დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები სხვა სამეცნიერო ცენტრებთან;

2.3. ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა.

მუხლი- 3. ინსტიტუტის პერსონალი

3.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის/მოადგილეებისა და სხვა პერსონალისაგან.

3.2. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები და მათი დანიშვნა-გათავისუფლების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი- 4. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

4.1. ინსტიტუტის სტრუქტურა ყალიბდება და იცვლება ინსტიტუტის ამოცანების, ფუნქციებისა და შესაძლო დაფინანსების შესაბამისად;

4.2. ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება ინსტიტუტის მეცნიერთაგან ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს;

4.3. ინსტიტუტის მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად შეიძლება ინსტიტუტის ფარგლებში შეიქმნას ან გაუქმდეს ქვედანაყოფები (ლაბორატორიები, განყოფილებები და სხვა).

4.4. ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც განსაზღვრული ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით.

4.5. ინსტიტუტის (ქვედანაყოფის) წევრი მოვალეა:

- დაიცვას დებულება და შეასრულოს ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილებები;
- დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მის ღონისძიებებში;
- გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას;

- ინსტიტუტის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი- 5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებანი

5.1. საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

5.2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ისმენს და ამტკიცებს დირექტორის წლიურ ანგარიშს.

5.3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა დამსწრეთაგან ნახევარზე მეტმა.

5.4. საბჭოს სხდომა იმართება თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა მესამედის ინიციატივით.

მუხლი- 6. ინსტიტუტის დირექტორი

6.1. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში კვლევების ეფექტიან წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) ამ დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ე) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

ვ) ხელმძღვანელობს სამეცნიერო და საორგანიზაციო ანგარიშების შედგენას;

ზ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით დასვას საკითხი თანამშრომელთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოსაყენებლად;

თ) საკუთარი უფლებამოსილების ვადით ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობიდან ნიშნავს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ი) უნივერსიტეტის რექტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში და დებს ხელშეკრულებებს;

კ) ახორციელებს ამ დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

6.2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს დირექტორის მოადგილე.

6.3. დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

- პირადი განცხადების საფუძველზე;

- მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას;
- გარდაცვალების გამო;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი- 7. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო სამეურნეო საქმიანობა

7.1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი მოძრავი და უძრავი ქონებით. ინსტიტუტი პასუხისმგებელია ამ ქონების დაცვაზე.

7.2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- გრანტებით მიღებული შემოსავალი;
- შემოწირულობები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

7.3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტის (ქვედანაყოფის) განვითარებას.

მუხლი- 8. ინსტიტუტის ლიკვიდაცია.

8.1. ინსტიტუტის (ქვედანაყოფის) ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ინსტიტუტის დაფუძნების საფუძვლად წარმოდგენილი პროგრამით/პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- ინსტიტუტის (ქვედანაყოფის) მიერ ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა;
- ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი-9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

9.1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ცენტრის საბჭო

1) ცენტრის საბჭოს შემადგენლობას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი;

2) ცენტრის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა;

3) ცენტრის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

ბ) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

გ) გადაწყვეტილებას იღებს კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე;

4) ცენტრის საბჭო იკრიბება ყოველი სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დირექტორის ან აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით;

5) ცენტრის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე;

6) ცენტრის საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე ცენტრის საბჭოს წევრთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით; ხოლო რიგგარეშე ცენტრის საბჭოს დღის წესრიგი განისაზღვრება ცენტრის საბჭოს მოწვევის ინიციატორ წევრთა მიერ;

7) ცენტრის საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე;

8) ცენტრის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

9) ცენტრის საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. ცენტრის დირექტორი

გ) გაუფრთხილდეს ცენტრის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მის მუშაობას, ერთიანობას, მიზნების განხორციელებას;

დ) ცენტრის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 11. დაფინანსება

ცენტრის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს: თსუ–ს ბიუჯეტი, სასწავლო კურსები, საკონსულტაციო და მთარგმნელობითი საქმიანობა, გრანტები, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

მუხლი 12 ცვლილებები და დამატებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №16, 10.11.2008 წ.);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

კანცელარია
Chancellery

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტატუსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) არის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი

1. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემატიკის შესწავლა და კვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით;

2. ამ თემატიკის დამუშავების პროცესში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის საფუძვლების განვითარების მიზნით;
3. ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი

ა) დახმარებას უწევს სხვადასხვა ფაკულტეტს სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გეგმების შემუშავებაში;
ბ) სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანატთან შეთანხმებით ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შერჩევასა და შესრულებაში;
გ) ორგანიზებას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას ამ მიმართულებით;
დ) აწყობს სამეცნიერო-სასწავლო კონფერენციებს;

ე) იწვევს სხვადასხვა სპეციალისტებს (მათ შორის აფხაზეთიდან) სამუშაო პროგრამებიდან გამომდინარე;

ვ) ქმნის პირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობაში აფხაზური მხარის მონაწილეობისათვის;

ზ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოზიდვას აფხაზეთიდან და ქმნის პირობებს მათთვის უნივერსიტეტში სასწავლებლად;

თ) კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის საზოგადოებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.

მუხლი 3. ცენტრის მართვის ორგანოები

ცენტრის მართვის ორგანოებია: ცენტრის საბჭო და დირექტორი

1) ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი;

2) დირექტორს ნიშნავს რექტორი 4 წლის ვადით;

3) დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) ადგენს ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს ცენტრის საბჭოს დასამტკიცებლად;

გ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვასა და განხორციელებას;

დ) წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ანგარიშს ცენტრის საბჭოს 6 თვეში ერთხელ;

ე) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორ ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

4) ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია თსუ რექტორისა და ცენტრის საბჭოს წინაშე.

მუხლი 7. ცენტრის დირექტორის მოადგილე

- უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;
- ამყარებს კავშირებს აფხაზურ მხარესთან, ორგანიზებას უწევს მათთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას;
- ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომელთა შორის და ახდენს მათ ადმინისტრირებას;
- თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს თანამშრომელთა სამსახურებრივ საქმიანობას:
- წარუდგენს ანგარიშს ცენტრის დირექტორს სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 8. მთავარი სპეციალისტი.

მთავარი სპეციალისტი (ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე):

1. მოიძიებს და ქმნის ცენტრის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციულ ბაზას;
2. ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნისთანავე მოიძიებს და წარადგენს საჭირო ინფორმაციას და მასალებს მოცემული თემატიკის გარშემო;
3. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას (აფხაზურ ენაზე), ახდენს ნაშრომთა რედაქტირებასა და კორექტირებას აფხაზურ ენაზე;
4. ცენტრის თემატიკიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში კავშირს ამყარებს აფხაზურ მხარესთან.

მუხლი 9. უფროსი ლაბორანტი.

უფროსი ლაბორანტი (ანგარიშვალდებულია დირექტორის მოადგილის წინაშე):

1. ადგენს და ხელმძღვანელობს ცენტრის ბიბლიოთეკას;
2. ასრულებს ტექნიკურ სამუშაოს მასალების დამუშავებისა და გავრცელების დროს;
3. უზრუნველყოფს ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის ფუნქციონირებას.

მუხლი 10. ცენტრის წევრობა

ცენტრის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას დებულება და დაემორჩილოს ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ბ)დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ცენტრის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მის ღონისძიებებში;